განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შავის ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ხათუნა საგანელიძე, აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ნინო ფარსადანიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ნათია გეგელაშვილი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი
2026

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახე	უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	229275405
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი 13-ე კმ, #2, 0159
ვებ-გვერდი	www.ibsu.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	ავტორიზებული
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	18/12/2024. ძალაში შესვლის თარიღი - 06/12/24 MES 8 24 0001627344;
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	06/12/2030

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	48
ბაკალავრიატი	29
მაგისტრატურა	13
ერთსაფეხურიანი	1
დოქტორანტურა	4
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	1
ქართულ ენაში მომზადების	0
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	48
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	1
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	2
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	253

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			5500
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	3291	1769	N/A
ბაკალავრიატი	2882	1334	28%
მაგისტრატურა	266	293	39%
ერთსაფეხურიანი	73	32	-

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის $ჰ^{48}$ პუნქტში

დოქტორანტურა	55	105	24%
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	15	5	N/A
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	N/A	N/A	N/A
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	376	421	N/A
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	0	0	0

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	711
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	178
- პროფესორი	50
- ასოცირებული პროფესორი	96
- ასისტენტ პროფესორი	32
- ასისტენტი	0
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	0
- მეცნიერი	0
- პოსტდოქტორანტი	0
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	109
- აფილირებული პროფესორი	31
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	67
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	11
- აფილირებული ასისტენტი	0
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	24
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	8
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	382
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	151

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	9169,4
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	4080
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	5089,4

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

შავი ზღვის უნივერსიტეტის ავტორიზაციის მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა უნივერსიტეტის შესაბამისობა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების, ადამიანური რესურსების მართვის, სტუდენტთა მხარდაჭერის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ფინანსური მდგრადობის, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემებისა და სტუდენტთა ჩართულობის მიმართულებით.

შეფასდა შემდეგი ქვესტანდარტები:

1.2. სტრატეგიული განვითარება

2.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

3.1. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

3.3. სწავლის შედეგების შეფასება

4.1. პერსონალის მართვა

4.2. აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

7.1. მატერიალური რესურსები

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

შეფასება მოიცავდა როგორც აკადემიურ, ისე ადმინისტრაციულ პროცესებს და ეფუძნებოდა დოკუმენტაციის ანალიზს, ინტერვიუებსა და ადგილზე დათვალიერებას.

ვიზიტი წარიმართა კონსტრუქციულ და კოლაბორაციულ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფმა გამართა შეხვედრები ადმინისტრაციასთან, კერძოდ რექტორთან, ვიცე-რექტორებთან, დეკანებთან, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან ყველა სკოლის დონეზე, მათ შორის მედიცინის სკოლის წარმომადგენლებთან, სადაც განხილული იქნა პროგრამების მართვა, განვითარება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. ასევე გაიმართა შეხვედრები თვითშეფასების ჯგუფთან, რომლის წარმომადგენლებმაც დეტალურად აღწერეს საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ცვლილებები. ხარისიხს აუდიტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ახალი მენეჯმენტის პირობებში მარეგულირებელ დოკუმენტაციაში ძირეული ცვლილებები არ განხორციელებულა და თანდათანობითი სტრატეგია არის არჩეული უნივერსიტეტის განვითარებისთვის. ასევე გაიმართა ინტერვიუ ფინანსურ დეპარტამენტის, შესყიდვებისა და ლოგისტიკის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან, სადაც შეფასდა რესურსების დაგეგმვისა და გამოყენების პრაქტიკა.

სტუდენტთა ჩართულობისა და მხარდაჭერის შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა გამართა შეხვედრები ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებთან. ამასთან, შეხვედრები შედგა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა განვითარების დეპარტამენტთან, სასწავლო პროცესების მონიტორინგის სამსახურთან, კვლევის ხელშეწყობისა და პროექტების მართვის სამსახურთან, ასევე კარიერული დაგეგმვისა და განვითარების სამსახურთან, რაც უზრუნველყოფდა სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემის მრავალმხრივ შეფასებას.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ასევე გამართა შეხვედრა აკადემიურ პერსონალთან და განახორციელა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება, მათ შორის აუდიტორიების, სასწავლო სივრცეების, ლაბორატორიების, სიმულაციური ცენტრის, ბიბლიოთეკისა და სხვა სასწავლო და სამუშაო სივრცეების.

შეფასების პროცესში ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა გამოყოფილი სამუშაო დრო შიდა განხილვებისა და მიგნებების სისტემატიზაციისთვის, რის შემდეგაც უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გაეცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები. მთლიანობაში, შეფასების პროცესი წარიმართა ორგანიზებულად, გამჭვირვალედ და თანამშრომლობით ფორმატში, რაც ხელს უწყობდა შეფასების ობიექტურობასა და ყოვლისმომცველობას.

მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები: ☒ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: ____2024 წლის 2, 3, 4 , 5 სექტემბერი_____ ☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____ ☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____ ☐ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში შეფასების განხორციელების თარიღი: _____

უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:
რეკომენდებულია უზრუნველყოთ, სტრატეგიული განვითარების გეგმაში წარმოდგენილი იყოს ყოვლისმომცველი და სარწმუნო საშუალებები იმისათვის, რომ მიღწეული იყოს დაწესებულების მიზნები; (1.2)	უნივერსიტეტმა სრულად გაითვალისწინა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და განახორციელა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიისა და შესაბამისი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შინაარსობრივი გაძლიერება. განახლებული დოკუმენტები ეფუძნება გაზომვად, სარწმუნო ინდიკატორებს და რეალისტურად ასახავს რესურსების უზრუნველყოფას სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში. შესაბამისად, ქვე-სტანდარტი 1.2-ის ფარგლებში გაცემული ორივე რეკომენდაცია შესრულებულია.
რეკომენდებულია გააძლიეროთ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი და მისგან გამომდინარე სამოქმედო გეგმები, რათა უზრუნველყოთ, რომ აღნიშნული გეგმები მოიცავს სტრატეგიულ მიზნებთან დაკავშირებულ სარწმუნო, კონკრეტულ, დეტალურ და გაზომვად ქმედებებს; (1.2)	
რეკომენდებულია უზრუნველყოთ, რომ დაწესებულების სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია თანხვედრაშია მიზანთან (2.2)	სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია გადაიხედა და დაყრდნობილია საერთაშორისო პრაქტიკასა და რაოდენობრივ გამოთვლებზე, რაც უზრუნველყოფს რესურსებსა და სტუდენტთა რაოდენობას შორის რეალისტურ კავშირს. განახლებული მიდგომა თანხვედრაშია სტრატეგიულ გეგმასთან. რეკომენდაცია შესრულებულია.
რეკომენდებულია უზრუნველყოთ, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები თანაბარ აქცენტს აკეთებდეს PDCA (დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - იმოქმედე) ციკლის ფარგლებში დაგეგმილი სამომავლო ქმედებების სარწმუნოობის და საკმარისობის შესწავლაზე; (2.2)	შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები გაძლიერებულია PDCA ციკლის სისტემური გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი ქმედებების სარწმუნოობისა და საკმარისობის შეფასებას. მექანიზმები სტანდარტიზებულია და შედეგებზე ორიენტირებული. რეკომენდაცია შესრულებულია.
რეკომენდებულია შეიმუშავოთ სასწავლო კურსის სილაბუსების სისტემატიურად გადახედვის პროცესი, რაც აკადემიურ პერსონალს დაავალდებულებს აკადემიური წლის მანძილზე	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტში დანერგილია

მინიმუმ ერთხელ მათ განახლებას. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შინაარსის თანამედროვეობა, რელევანტურობა, დარგის განვითარებად სტანდარტებთან და საგანმანათლებლო საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობა. (3.1)	სასწავლო კურსების სილაბუსების სისტემატიური გადახედვის რეგლამენტირებული პროცესი, რომელიც აკადემიურ პერსონალს აკისრებს აკადემიური წლის განმავლობაში მათი მინიმუმ ერთჯერადი განახლების ვალდებულებას. არსებული ელექტრონული სისტემა და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები უზრუნველყოფს სილაბუსების შინაარსის თანამედროვეობას, რელევანტურობასა და შესაბამისობას დარგის განვითარებად სტანდარტებთან და საგანმანათლებლო საუკეთესო პრაქტიკასთან. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.
რეკომენდებულია შეიმუშავოთ სტრუქტურირებული უკუკავშირის მექანიზმი, რომელიც სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს მიიღონ დეტალური ინფორმაცია მათი აკადემიური მოსწრების შესახებ. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს დავალებებზე, შუალედური გამოცდების შედეგებზე და საბოლოო შეფასებებზე პერსონალიზებულ უკუკავშირს, რაც დაეხმარება სტუდენტებს გამოავლინონ გასაუმჯობესებელი სფეროები და ხელი შეუწყონ აზროვნების განვითარებას. (3.3)	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტში დანერგილია სტრუქტურირებული და ფუნქციონალური უკუკავშირის მექანიზმი, რომელიც სტუდენტებს უზრუნველყოფს პერსონალიზებული ინფორმაციის მიღებით დავალებების, შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფარგლებში. მოქმედი ელექტრონული სისტემა და LMS პლატფორმა ქმნის პირობებს რეგულარული, ორმხრივი აკადემიური კომუნიკაციისთვის. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.
რეკომენდებული უზრუნველყოთ სამართლიანობა და გამჭვირვალობა იმ შემთხვევებში, სადაც დამსაქმებლები მონაწილეობას იღებენ სტუდენტის შეფასების შედეგის განსაზღვრაში. (3.3)	წარმოდგენილი შიდა ნორმატიული დოკუმენტაციის ანალიზმა და განხორციელებული ცვლილებების შეფასებამ აჩვენა, რომ პრაქტიკის შეფასების პროცესში გაძლიერებულია უნივერსიტეტის აკადემიური კონტროლი და შემცირებულია დამსაქმებლის სუბიექტური გავლენა. განახლებული შეფასების მოდელი უზრუნველყოფს როლების მკაფიო განაწილებასა და შეფასების ხვედრითი წილების დაბალანსებას, რაც ზრდის პროცესის სამართლიანობასა და გამჭვირვალობას. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.
რეკომენდებულია განაახლოთ აკადემიურ პერსონალთან შრომითი და აფილირების ხელშეკრულებები ახლად დამტკიცებული აფილირების წესის შესაბამისად; (4.1)	უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მიხედვით, რეკომენდაციის შემდგომ პერიოდში აკადემიურ პერსონალს შესთავაზეს აფილირების ხელშეკრულებების განახლება ახლად დამტკიცებული აფილირების წესის შესაბამისად, მათ შორის ალტერნატიული მოდელების ჩათვლით. პერსონალის პოზიციისა და პოტენციური ინსტიტუციური რისკების გათვალისწინებით, უნივერსიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება აფილირების არსებული წესის შენარჩუნების შესახებ, რაც უზრუნველყოფს აკადემიური თავისუფლებისა და აკადემიური საქმიანობის წახალისების მექანიზმების თანაარსებობას. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდებულია უზრუნველყოთ აკადემიური პერსონალის ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა დონეზე, მმართველ ორგანოებში მათი არჩევის გზით; (4.1)	დოკუმენტაციის ანალიზმა და აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში უზრუნველყოფილია როგორც უნივერსიტეტის, ისე სკოლის საბჭოების დონეზე წარმომადგენლობითი მექანიზმების მეშვეობით. აკადემიური საბჭოსა და სკოლის საბჭოების საქმიანობა უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის უშუალო მონაწილეობას მმართველობით პროცესებში, მათ შორის არააფილირებული პერსონალის კონსულტაციურ ჩართულობასაც. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.
რეკომენდებულია უზრუნველყოთ, კლინიკური მეცადინეობების ჩასატარებლად განსაზღვრული იყოს მხოლოდ ის პერსონალი, რომლებსაც გააჩნიათ მინიმუმ 3 წლიანი კლინიკური გამოცდილება რეგისტრაციის შემდგომ; (4.1)	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის პროცესში განხორციელებული შემოწმების საფუძველზე დადასტურდა, რომ კლინიკური მეცადინეობები ხორციელდება მხოლოდ მინიმუმ 3-წლიანი კლინიკური გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალის მიერ. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.
რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, გაზარდოთ აფილირებული პერსონალის რაოდენობა როგორც უნივერსიტეტის დონეზე, ასევე "დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის; (4.1)	ავტორიზაციის ვიზიტის შემდეგ გაიზარდა როგორც აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა (150-დან 178-მდე), ისე აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა (99-დან 109-მდე), რაც ადასტურებს რაოდენობრივ პროგრესს და აფილირებული პერსონალის ხვედრითი წილის ზრდას. აღნიშნული ცვლილებები მიუთითებს უნივერსიტეტის მიზანმიმართულ პოლიტიკაზე საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი პროგრამის, მდგრადობის უზრუნველსაყოფად და შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.
რეკომენდებულია პერსონალის ნიშნულების გაუმჯობესების მიზნით, პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიებში გაითვალისწინოთ საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა; (4.2)	საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკისა და ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით, უნივერსიტეტმა განსაზღვრა პერსონალის დაგეგმვის სამიზნე ნიშნული 20 სტუდენტი ერთ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალზე (FTE). წარმოდგენილი მონაცემები ადასტურებს, რომ უნივერსიტეტი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ ნიშნულს და შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.
რეკომენდებულია შეიცვალოს სტუდენტთა ომბუდსმენის არჩევის არსებული წესი და ნაცვლად რექტორის მიერ დანიშვნისა, ომბუდსმენი დემოკრატიულად იყოს არჩეული სტუდენტების მიერ; (5.1)	სტუდენტთა ომბუდსმენის არჩევის წესში განხორციელებული ცვლილებებით გაუქმდა რექტორის მიერ დანიშვნის პრაქტიკა და ომბუდსმენის არჩევის უფლებამოსილება მიენიჭა სტუდენტურ თვითმმართველობას დემოკრატიული არჩევნების გზით. აღნიშნული ცვლილებები აძლიერებს სტუდენტთა მონაწილეობას, უზრუნველყოფს პროცესის

	გამჭვირვალობას და შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.
რეკომენდებულია გააძლიეროთ სტუდენტთა წარმომადგენლობის ჩართულობა უნივერსიტეტის გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში. (5.1)	უნივერსიტეტის დებულებაში შეტანილი ცვლილებებით აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში განისაზღვრა ორი სტუდენტის მონაწილეობა, რომლებიც არჩეული არიან სტუდენტური თვითმმართველობის მიერ, ხოლო სტუდენტები მონაწილეობენ ასევე სკოლის საბჭოს სხდომებში. აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს სტუდენტთა წარმომადგენლობის პირდაპირ და სისტემატურ ჩართულობას უნივერსიტეტის გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში და შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.
რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის და სწავლის შედეგების მიღწევის უწყვეტად უზრუნველყოფის მიზნით, გააძლიეროთ სიმულაციური ცენტრი და ლაბორატორიები დამატებითი აღჭურვილობით. (7.1)	ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ უნივერსიტეტმა გააძლიერა მედიცინის სკოლის სიმულაციური ცენტრი და ლაბორატორიები დარგობრივი მახასიათებლით მოთხოვნილი სიმულატორებით, თანამედროვე ტექნოლოგიური აღჭურვილობითა და საჭირო მარაგებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასების საფუძველზე, სიმულაციური ცენტრისა და ლაბორატორიების გაძლიერება უზრუნველყოფილია და რეკომენდაცია შესრულებულია.
რეკომენდებულია 2,000 სამედიცინო სტუდენტის სასწავლო პროცესის სამართავად მკაფიო, სტრუქტურირებული სტრატეგიის შემუშავება. (7.1)	წარმოდგენილი სტრატეგიული დოკუმენტი ასახავს 2024–2030 წლებისთვის 2,000 სამედიცინო სტუდენტის სასწავლო პროცესის ეტაპობრივ, სტრუქტურირებულ და ხარისხზე ორიენტირებულ მართვას, ხოლო მოქმედმა ელექტრონულმა პლატფორმამ სასწავლო პროცესის ადმინისტრირება უფრო კომფორტული და სწრაფშედეგიანი გახადა. შესაბამისად, სასწავლო პროცესის ეფექტური მართვის მექანიზმები უზრუნველყოფილია და რეკომენდაცია შესრულებულია.
რეკომენდებულია უზრუნველყოთ სპეციალური სამუშაო და შეხვედრების სივრცეები აკადემიური პერსონალისთვის სასწავლო პროცესისთვის მოსამზადებლად და სტუდენტებთან ინდივიდუალური შეხვედრების და კონსულტაციების ჩასატარებლად.(7.1)	სამუშაო ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალისთვის მოწყობილია სპეციალური სამუშაო და შეხვედრების სივრცეები A და B კორპუსებში, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით, ხოლო პროგრამების ხელმძღვანელებს გამოყოფილი აქვთ ინდივიდუალური სამუშაო კაბინეტები სტუდენტებთან კონსულტაციებისათვის. ასევე აღინიშნა, რომ დამატებითი სივრცეების გამოყოფა გათვალისწინებულია განახლებულ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში, შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.
რეკომენდებულია იმ ოთახებს, რომელთაც არ მიეწოდებათ საკმარისი ბუნებრივი შუქი შეეცვალოთ დანიშნულება, რადგან ისინი არ	ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ ბუნებრივი განათების არმქონე ოთახებს შეცვლილი აქვთ ფუნქციური დანიშნულება და გამოიყენება

შეესაბამება საგანმანათლებლო სივრცის სტანდარტებს. (7.1)	სტუდენტური კინოთეატრის მიზნით, რის შედეგადაც ისინი აღარ ფუნქციონირებენ საგანმანათლებლო სივრცეებად და რეკომენდაცია შესრულებულია.
რეკომენდებულია შეიმუშაოვთ ბიბლიოთეკის გაფართოების ყოვლისმომცველი და სარწმუნო გეგმა სტუდენტების რაოდენობის მოსალოდნელი ზრდის გათვალისწინებით (7.2)	განახლებული სტრატეგიული გეგმის შესაბამისად გაფართოვდა საბიბლიოთეკო სივრცე, დაემატა ახალი სამკითხველო დარბაზი და ინვენტარი. საბიბლიოთეკო სივრცე და შესაბამისი ინვენტარი სრულად უზურნველყოფს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მომსახურებას. ჩატარებულმა ინტერვიუებმა ასევე გამოკვეთა, რომ სამომავლოდ დამატებით იგეგმება საბიბლიოთეკო სივრცეების გაფართოება. შესაბამისად რეკომენდაცია შესრულებულია.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

რჩევები

- მედიცინის კლასტერული აკრედიტაციისთვის მზადების პროცესში მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა ყურადღება გაამახვილოს საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის გაუმჯობესებისა და ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი გაძლიერების ურთიერთშეთანხმებულ (როგორც შინაარსობრივი, ისე რაოდენობრივი მაჩვენებლების) მიმდინარეობას, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის განვითარების პროცესის მშვიდ და თანმიმდევრულ განხორციელებას.

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოითხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოითხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოითხოვნებთან	არ შეესაბამება მოითხოვნებს
1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება		☐	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა		☐	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☒	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☐	☐	☐
3. საგანმანათლებლო პროგრამები		☐	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☒	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☐	☐	☐

3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☒	☐	☐	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☒	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☒	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☒	☐	☐	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☐	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☐	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☐	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. სახელი, გვარი (თავმჯდომარე) - ხათუნა საგანელიძე

2. სახელი, გვარი (წევრი) - ნინო ფარსადანიშვილი

3. სახელი, გვარი (წევრი) - ნათია გეგელაშვილი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: რეკომენდაცია ამ სტანდარტთან დაკავშირებით არ გაცემულა.

უნივერსიტეტის მენეჯმენტთან შეხვედრისას აღნიშნული იყო, რომ უნივერსიტეტში მოხდა ტოპ-მენეჯმენტის ცვლილება. ახალი მენეჯმენტის პირობებში ამ ეტაპზე ძირეული ცვლილებები არ განხორციელებულა, მათ შორის დაწესებულების მიერ მისია არ შეცვლილა და ფორმულირებულია შემდეგნაირად:

„შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიაა სწავლა-სწავლებისა და კვლევის საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების შეთავაზება, რომლის შედეგადაც ამზადებს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამის კვალიფიციურ, კონკურენტუნარიან, დემოკრატიული ფასეულობების მქონე თაობას“

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხედვაა, შექმნას მრავალფეროვნებასა და თანასწორუფლებიანობაზე დაფუძნებული ხარისხიანი, ინოვაციური, საერთაშორისო, თანამედროვე სასწავლო და სამეცნიერო გარემო, რომელიც უნივერსიტეტს მოუტანს ადგილობრივ და საერთაშორისო აღიარებას.

ღირებულებები

აკადემიური თავისუფლება – ქმნის თავისუფალ აკადემიურ გარემოს, ხელს უწყობს კვლევას, აკადემიური გამოცდილების გაზიარებასა და სწავლებაში გამოყენებას.

ინკლუზიურობა – პატივს სცემს თითოეული ადამიანის, როგორც ინდივიდის, უნიკალურ შესაძლებლობებსა და ფასეულობებს, ქმნის ინკლუზიურ სასწავლო გარემოს სხვადასხვა საჭიროების მქონე პირებისთვის, სადაც განათლება ყველასათვის განურჩევლად და თანაბარად ხელმისაწვდომია.

თანასწორუფლებიანობა და მრავალფეროვნება – პატივს სცემს ადამიანთა უფლებებს, ღირებულებებს, მათ შორის აფასებს ეთნიკურ, კულტურულ, რელიგიურ, საერთაშორისო ცნობიერების სხვადასხვაობას, ქმნის თანასწორუფლებიან გარემოს; სთავაზობს საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვან არჩევანს, ქართულ და ინგლისურ ენებზე, უცხო ენების სწავლების შესაძლებლობით.

გამჭვირვალობა – ორიენტირებულია შექმნას ეფექტური მმართველობა, გუნდური, სამართლიანი და გამჭვირვალე გარემო როგორც სტუდენტებისთვის, ასევე თანამშრომლებისთვის, ხელს უწყობს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას, მათ ინფორმირებულობასა და ურთიერთპატივისცემას, იცავს ეთიკისა და კეთილსინდისიერების ნორმებს.

ინოვაცია – ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით ორიენტირებულია სასწავლო, სამეცნიერო სიახლეების, თანამედროვე მეთოდების, ახალი მიდგომების დანერგვასა და ინტერნაციონალიზაციაზე.

მდგრადი განვითარება – უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ და ეფექტურ ფუნქციონირებას და ითვალისწინებს მდგრადი განვითარების მიზნებს.

სოციალური პასუხისმგებლობა – პატივს სცემს დემოკრატიულ და ეთიკურ პრინციპებს, წვლილი შეაქვს სამოქალაქო საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარებაში, სოციალური პასუხისმგებლობის, საზოგადოების საჭიროებებისა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).
- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაცემული იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- **რეკომენდებულია უზრუნველყოთ, სტრატეგიული განვითარების გეგმაში წარმოდგენილი იყოს ყოვლისმომცველი და სარწმუნო საშუალებები იმისათვის, რომ მიღწეული იყოს დაწესებულების მიზნები;**
- **რეკომენდებულია გააძლიეროთ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი და მისგან გამომდინარე სამოქმედო გეგმები, რათა უზრუნველყოთ, რომ აღნიშნული გეგმები მოიცავს სტრატეგიულ მიზნებთან დაკავშირებულ სარწმუნო, კონკრეტულ, დეტალურ და გაზომვად ქმედებებს;**

ანგარიშის შეფასების ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ყურადღება გამახვილებული იყო უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის სანდოობაზე, განსაკუთრებით სტუდენტთა კონტინგენტის ზღვრული რაოდენობის ზრდის პირობებში რესურსების ადეკვატურობისა და სტრატეგიულ გეგმაში აქტივობების გაზომვადობის კუთხით. შეფასების პროცესში და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ არსებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები საჭიროებდა მეთოდოლოგიურ გაძლიერებას, რათა უკეთ ასახულიყო დაგეგმილი აქტივობების კავშირი უნივერსიტეტის მიზნებთან, მოსალოდნელ შედეგებთან და რეალისტურ რესურსულ შესაძლებლობებთან.

აღნიშნული კონტექსტის გათვალისწინებით, უნივერსიტეტმა განახორციელა სტრატეგიული დაგეგმვის სისტემის გადახედვა და რეკომენდაციებზე რეაგირება მოახდინა არა მხოლოდ ცალკეული აქტივობების დაზუსტებით, არამედ მთლიანად დაგეგმვის მიდგომის გაუმჯობესებით. ცვლილებები შეეხო როგორც სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას, ისე 7-წლიან სტრატეგიულ და 3-წლიან სამოქმედო გეგმებს, რაც შეფასების ჯგუფის აზრით, მიუთითებს რეკომენდაციების გააზრებულ და სისტემურ შესრულებაზე. ამ ეტაპზე ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების პირობებში, ინსტიტუცია ასევე მზადაა სტრატეგიების გადახედვის პროცესისთვის.

აღნიშნული ქვესტანდარტის ორივე რეკომენდაციის შესრულების მიზნით, უნივერსიტეტმა განაახლა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლის ფარგლებში მკაფიოდ განისაზღვრა დაგეგმვის პროცესის განხორციელება PDCA (Plan–Do–Check–Act) ციკლის შესაბამისად. აღნიშნული მიდგომა ქმნის უწყვეტი გაუმჯობესების საფუძველს და ამცირებს გეგმების განხორციელებასთან დაკავშირებულ რისკებს.

ამავე დროს, დაგეგმვის პროცესში გაძლიერდა მონაცემებზე დაფუძნებული მიდგომა. სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრა დაეფუძნა შიდა და გარე მონაცემების, შიდა კვლევების შედეგებისა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებული ტენდენციების ანალიზს, რაც ზრდის სტრატეგიული გადაწყვეტილებების სანდოობას.

მნიშვნელოვან დადებით ცვლილებად უნდა შეფასდეს სტრატეგიული დაგეგმვისა და სტუდენტთა კონტინგენტის ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის პროცესებს შორის კავშირის გაძლიერება. აღნიშნული

პროცედურის სავალდებულო კომპონენტად ქცევა უზრუნველყოფს მოსალოდნელი შედეგების რეალისტურობას და მათ შესაბამისობას უნივერსიტეტის რესურსულ შესაძლებლობებთან. სტრატეგიულ გეგმაში დაკონკრეტდა ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებები, მათ შორის სასწავლო, ადმინისტრაციული, საკონსულტაციო, ლაბორატორიული, სოციალური და საბიბლიოთეკო სივრცეების გაფართოება და სტუდენტური სერვისების განვითარება. ასევე განისაზღვრა, რომ 2027 წლისთვის უნივერსიტეტს ექნება სათანადოდ აღჭურვილი დამატებითი სასწავლო და დამხმარე ფართები, რომელთა ნაწილი უკვე გამოყოფილია არსებულ კამპუსში. პარალელურად, გადაიხედა KPI ინდიკატორები და გაიზარდა მათი გაზომვადობა. სამოქმედო გეგმაში დაემატა და დაკონკრეტდა სტრატეგიულ გეგმასთან შესაბამისი აქტივობები, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული მიზნების ეტაპობრივ და კონტროლირებად განხორციელებას. დადებითად ფასდება დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის მართვის სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება, რომელიც ასახავს 2024–2030 წლებში 2000 სტუდენტის სასწავლო პროცესის ეფექტიანი მართვის მექანიზმებს. შეფასების ჯგუფის მოსაზრებით, უნივერსიტეტმა ადეკვატურად გაითვალისწინა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და განახორციელა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შინაარსობრივი და მეთოდოლოგიური გაუმჯობესება. განახლებული დოკუმენტები მოიცავს უფრო სარწმუნო და გაზომვად ინდიკატორებს, მკაფიოდ ასახავს უნივერსიტეტის მიზნების მიღწევადობას და უზრუნველყოფს შესაბამისი რესურსების დაგეგმვას სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში. შესაბამისად, მოცემული სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან დაკავშირებით გაცემული ორივე რეკომენდაცია შესრულებულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების კითხვარი • ინტერვიუები • უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა; • უნივერსიტეტის 3 წლიანი სამოქმედო გეგმა; • უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.
რეკომენდაციები: -
რჩევები: -
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

- უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.
- უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ამ ქვე-სტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაცია არ გაცემულა ავტორიზაციის საბჭოს მიერ.

უნივერსიტეტს სტრუქტურაში ძირეული ცვლილებები საანგარიშო პერიოდში არ განუხორციელებია, თუმცა შეიცვალა დეპარტამენტების სახელწოდებები (მაგ. სასწავლო პროცესის და გამოცდების მართვის დეპარტამენტი, ასევე სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი) და გაძლიერდა სამსახურების ფუნქცია-მოვალეობები. ასევე დაემატა ხარისხის აუდუტის პოზიცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

–

რეკომენდაციები:

–

რჩევები:

–

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტების და საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები:

● **რეკომენდებულია უზრუნველყოთ, რომ დაწესებულების სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია თანხვედრაშია მიზანთან** .

- რეკომენდაციის შესაბამისად, უნივერსიტეტმა გადახედა სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიას და განახორციელა მისი მოდიფიცირება. განახლებული მიდგომა ეფუძნება მკაფიოდ განსაზღვრულ საკვანძო ცვლადებს, მათ შორის მაქსიმალურ სასწავლო დატვირთვასა და სასწავლო ჯგუფების ოპტიმალურ მოცულობას. ხარისხის აუდიტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული დოკუმენტაციის დახვეწით, გაადვილდა ცხრილების და ზოგადად სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელება.

სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის ფორმულა ითვალისწინებს აქტიური სასწავლო დატვირთვისა და საკონტაქტო საათების რაოდენობას. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, მეთოდოლოგიის მიზანია სტუდენტთა რაოდენობას, აკადემიური პერსონალის რესურსსა და ხელმისაწვდომ ინფრასტრუქტურას შორის რეალისტური და რაოდენობრივად გამოთვლადი კავშირის უზრუნველყოფა. შეფასების ჯგუფი აღნიშნავს, რომ განახლებული მეთოდოლოგია ეფუძნება შესაბამის მათემატიკურ გამოთვლებს, ასახავს საერთაშორისო გამოცდილებას და სრულ თანხვედრაშია უნივერსიტეტის განახლებულ სტრატეგიულ გეგმასთან. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია.

- **რეკომენდებულია უზრუნველყოთ, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები თანაბარ აქცენტს აკეთებდეს PDCA (დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - იმოქმედე) ციკლის ფარგლებში დაგეგმილი სამომავლო ქმედებების სარწმუნოობის და საკმარისობის შესწავლაზე;**

- რეკომენდაციის საფუძველზე, 2025 წლის დასაწყისში უნივერსიტეტმა გადახედა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო დოკუმენტს. განხორციელებული ცვლილებების შედეგად დაკონკრეტდა ის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტრატეგიული და ოპერაციული მიზნების მიღწევას და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების თანმიმდევრულ განხორციელებას.

განახლებული დოკუმენტი მკაფიოდ განსაზღვრავს პასუხისმგებელ ერთეულებს, ვადებსა და სამიზნე ნიშნულებს, რაც უზრუნველყოფს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სტანდარტიზებულ და სისტემურ მიმდინარეობას. შეფასების პროცესში დადასტურდა, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თითოეული მიმართულებისა და მექანიზმის განხორციელებისას თანმიმდევრულად იყენებს PDCA (Plan–Do–Check–Act) ციკლს.

კერძოდ, დაგეგმვის ეტაპი მოიცავს ყოველი აკადემიური წლის დასაწყისში დაგეგმილ ქმედებებს, რომლებიც ეფუძნება განსაზღვრულ ვადებს, სიხშირეებს (სემესტრული, წლიური, სამწლიანი), შეფასების ინსტრუმენტებსა და პროცედურებს. განხორციელების ეტაპი გულისხმობს დოკუმენტით განსაზღვრული მექანიზმების პრაქტიკულ შესრულებას. შემოწმების ეტაპზე ხორციელდება მიღებული მონაცემების ანალიზი დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან მიმართებით, რაც უზრუნველყოფს პროცესების პროგრესის შეფასებასა და როგორც ძლიერი, ისე გასაუმჯობესებელი ასპექტების იდენტიფიცირებას. განვითარების ეტაპი კი მოიცავს შეფასებისა და ანგარიშების საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებასა და მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელებას, მათ შორის წარმატებული პრაქტიკის გაძლიერებასა და გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას. აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ მათ სისტემატურად მისდით კითხვარები და აქვთ შესაბამისი უკუკავშირი. მათ აღნიშნეს, რომ ეს ისედაც ხორციელდებოდა უნივერსიტეტში წარსულ პერიოდში, თუმცა ახალი დიგიტალური პლატფორმის დანერგვამ ეს პროცესი უფრო სისტემაში მოიყვანა და კომფორტული გახადა შეფასების და ზოგადად სამუშაო პროცესი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეფასების ჯგუფი მიიჩნევს, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები გაძლიერებულია და უზრუნველყოფს PDCA ციკლის ფარგლებში დაგეგმილი სამომავლო ქმედებების სარწმუნოობისა და საკმარისობის სათანადო შეფასებას. შესაბამისად, მოცემული რეკომენდაციაც შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების კითხვარი
- ინტერვიუს შედეგები
- უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სახელმძღვანელო დოკუმენტი
- უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

-

შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა
○ უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია. ○ უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები. ○ უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: რეკომენდაცია არ იყო გაცემული
მტკიცებულებები/ინდიკატორები: –
რეკომენდაციები: –
რჩევები: -
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: **<u>რეკომენდაცია:</u> რეკომენდებულია შეიმუშავოთ სასწავლო კურსის სილაბუსების სისტემატიურად გადახედვის პროცესი, რაც აკადემიურ პერსონალს დაავალდებულებს აკადემიური წლის მანძილზე მინიმუმ ერთხელ მათ განახლებას. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შინაარსის თანამედროვეობა, რელევანტურობა, დარგის განვითარებად სტანდარტებთან და საგანმანათლებლო საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობა.**

ექსპერტთა პანელმა შეისწავლა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ჩაატარა ინტერვიუები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან სასწავლო კურსების სილაბუსების სისტემატიური გადახედვის პროცესთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2025–2026 აკადემიური წლიდან ამოქმედებულია სასწავლო პროცესის მართვის განახლებული ელექტრონული სისტემა, რომელიც გამოიყენება სასწავლო კურსების სილაბუსების ადმინისტრირების, განახლებისა და მართვის მიზნით. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სილაბუსების ელექტრონულ სისტემაში განთავსება და მათი განახლებული ვერსიების ადმინისტრირება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პასუხისმგებლობაში შედის.

უნივერსიტეტმა აღნიშნა, რომ ყოველი სემესტრის დასაწყისში პროგრამების განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს ეგზავნება შეტყობინება მოკლე ტექსტური შეტყობინებისა და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის საშუალებით, რომელიც უკავშირდება სილაბუსების სავალდებულო გადახედვის მოთხოვნას. აღნიშნული პროცედურა აკადემიურ პერსონალს ავალდებულებს აკადემიური წლის განმავლობაში მინიმუმ ერთხელ გადაამოწმოს სასწავლო კურსის შინაარსი და საჭიროების შემთხვევაში განაახლოს სილაბუსი.

პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ აკადემიური პერსონალი იცნობს სილაბუსების გადახედვისა და განახლების პროცედურას, აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას და აღნიშნულ მოთხოვნას პრაქტიკაში ასრულებს. ინტერვიუს მონაწილეებმა დაადასტურეს, რომ სილაბუსების განახლება უკავშირდება როგორც სასწავლო შინაარსის აქტუალიზაციას, ისე სწავლის შედეგების, სასწავლო მეთოდებისა და შეფასების კომპონენტების გადახედვას.

ექსპერტთა პანელმა ასევე დაადგინა, რომ 2025–2026 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრის დასაწყისში განხორციელდა მიზნობრივი კომუნიკაცია პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით განახლებული სილაბუსები განთავსდა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკადემიურ პერსონალს უწევს კონსულტაციურ და მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას სილაბუსების განახლების პროცესში.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი შიდა ნორმატიული დოკუმენტაციის, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის ანალიზიდან ჩანს, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ვალდებულია ყოველ სასწავლო წელს, შესაბამისი სემესტრის დასაწყისში, გადახედოს სასწავლო კურსის სილაბუსს, საჭიროების შემთხვევაში განაახლოს იგი და განახლებული ვერსია წარუდგინოს პროგრამის ხელმძღვანელსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მოთხოვნა პრაქტიკაში სრულდება და არ ატარებს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს.

ამავე დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განვითარების პროცესში უზრუნველყოფილია დაინტერესებული მხარეების, მათ შორის დამსაქმებელთა ჩართულობა, რაც დამატებით უკავშირდება სასწავლო კურსების შინაარსის რელევანტურობისა და პრაქტიკული ორიენტაციის უზრუნველყოფას.

ზემოაღნიშნული დოკუმენტური მტკიცებულებებისა და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე, ექსპერტთა პანელი მიიჩნევს, რომ სასწავლო კურსების სილაბუსების სისტემატიური გადახედვის პროცესი უნივერსიტეტში დანერგილია, რეგლამენტირებულია და ფუნქციონირებს პრაქტიკაში. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუს შედეგები
- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის განახლებული ელექტრონული სისტემა - https://reg.ibsu.edu.ge/
- უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სახელმძღვანელო დოკუმენტი;
- უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აღნიშნულ ქვესტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაცია არ იყო გაცემული ავტორიზაციის საბჭოს მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიცაციის საბჭოს მიერ ამ ქვესტანდარტთან დაკავშირებით გაიცა 2 რეკომენდაცია:

რეკომედაცია: რეკომენდებულია შეიმუშავოთ სტრუქტურირებული უკუკავშირის მექანიზმი, რომელიც სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს მიიღონ დეტალური ინფორმაცია მათი აკადემიური მოსწრების შესახებ. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს დავალებებზე, შუალედური გამოცდების შედეგებზე და საბოლოო შეფასებებზე პერსონალიზებულ უკუკავშირს, რაც დაეხმარება სტუდენტებს გამოავლინონ გასაუმჯობესებელი სფეროები და ხელი შეუწყონ აზროვნების განვითარებას.

ექსპერტთა პანელმა განიხილა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და დაადგინა, რომ 2025–2026 აკადემიური წლიდან შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ამოქმედებულია სასწავლო პროცესის მართვის განახლებული ელექტრონული სისტემა, რომელშიც ინტეგრირებულია LMS პლატფორმა. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს ლექტორსა და სტუდენტს შორის ორმხრივ აკადემიურ კომუნიკაციას და იძლევა შესაძლებლობას, სასწავლო დავალებები განთავსდეს ელექტრონულად და შემოწმების შემდეგ სტუდენტს დაუბრუნდეს ინდივიდუალური, წერილობითი უკუკავშირი.
წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, პერსონალიზებული უკუკავშირის მექანიზმი გამოიყენება როგორც მიმდინარე დავალებების, ისე შუალედური და დასკვნითი შეფასებების პროცესში. 2025–2026 აკადემიური წლიდან საგამოცდო პროცესის უმეტესი ნაწილი გადაყვანილია ელექტრონულ ფორმატში, რაც დამატებით ქმნის პირობებს საგამოცდო დავალებების შეფასებისას დეტალური უკუკავშირის მიწოდებისთვის (იმ სასწავლო კურსების გამოკლებით, რომლებიც პრაქტიკულ გამოცდას მოითხოვს).
ასევე გამოიკვეთა, რომ სისტემაში ინტეგრირებულია სტუდენტებთან საკომუნიკაციო ფუნქციონალი, რომელიც ლექტორს აძლევს შესაძლებლობას უკუკავშირი მიაწოდოს როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, ხოლო სტუდენტს — საჭიროების შემთხვევაში თავად მოითხოვოს უკუკავშირი.
ზემოაღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, მათ აკადემიურ პროგრესზე ინფორმირებულობას და სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ უკუკავშირს.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია: რეკომენდებულია უზრუნველყოთ სამართლიანობა და გამჭვირვალობა იმ შემთხვევებში, სადაც დამსაქმებლები მონაწილეობას იღებენ სტუდენტის შეფასების შედეგის განსაზღვრაში.

ექსპერტთა პანელმა შეისწავლა უნივერსიტეტში მოქმედი პრაქტიკის განხორციელებისა და შეფასების წესი, ასევე რეკომენდაციის შემდგომ პერიოდში განხორციელებული ცვლილებები აღნიშნულ რეგულაციაში. დოკუმენტაციის ანალიზიდან ჩანს, რომ რეკომენდაციის გაცემის მომენტისთვის პრაქტიკის კომპონენტის შუალედურ შეფასებაში მონაწილე სუბიექტს წარმოადგენდა დამსაქმებელი/პრაქტიკის ზედამხედველი, ხოლო პრაქტიკის დასკვნითი შეფასება ხორციელდებოდა უნივერსიტეტში პრაქტიკის ანგარიშის დაცვის საფუძველზე. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, შეფასების პროცესში მეტი სამართლიანობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდა ცვლილება პრაქტიკის განხორციელებისა და შეფასების წესში. განახლებული რეგულაციის თანახმად, პრაქტიკის შუალედური შეფასება აღარ წარმოადგენს მხოლოდ დამსაქმებლის კომპეტენციას და იგი გადანაწილებულია დამსაქმებელსა და უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლის მიერ დანიშნულ წარმომადგენელს — პრაქტიკის ხელმძღვანელს შორის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ აღნიშნული ცვლილება მიზნად ისახავს შეფასების პროცესში უნივერსიტეტის აკადემიური პასუხისმგებლობის გაძლიერებას და დამსაქმებლის მხრიდან შესაძლო სუბიექტური გავლენის შემცირებას. ამასთან, დოკუმენტაციაში მკაფიოდ არის განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები, შეფასების სუბიექტების როლები და მათი პასუხისმგებლობები, რაც დამატებით ზრდის პროცესის გამჭვირვალობას. დოკუმენტაციის ანალიზიდან ასევე ჩანს, რომ დამსაქმებლის შეფასების ხვედრითი წილი შუალედურ შეფასებაში განსაზღვრულია მინიმალურ დონეზე, ხოლო საბოლოო შეფასებაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს უნივერსიტეტის აკადემიური შეფასების კომპონენტები, მათ შორის პრაქტიკის ანგარიშის შეფასება და მისი დაცვა. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს შეფასების შედეგის დაბალანსებას და შესაბამისობას აკადემიურ სტანდარტებთან. ექსპერტთა პანელმა ასევე დაადგინა, რომ განახლებული შეფასების

მოდელი ინარჩუნებს დამსაქმებელთა ჩართულობას პრაქტიკული კომპეტენციების შეფასების ნაწილში, თუმცა პარალელურად უზრუნველყოფს შეფასების პროცესის კონტროლს უნივერსიტეტის მიერ, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ინტერესთა კონფლიქტისა და სუბიექტური შეფასების რისკებს. ზემოაღნიშნული ცვლილებები ქმნის პირობებს შეფასების პროცესის სამართლიანობის, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის გაძლიერებისთვის იმ შემთხვევებში, როდესაც დამსაქმებლები მონაწილეობენ სტუდენტის შეფასებაში. წარმოდგენილი დოკუმენტური მტკიცებულებებისა და განხორციელებული რეგულაციური ცვლილებების საფუძველზე, ექსპერტთა პანელი მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია შესრულებულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ინტერვიუს შედეგები • თვითშეფასების დოკუმენტი • სასწავლო პროცესის მართვის განახლებული ელექტრონული სისტემა -https://reg.ibsu.edu.ge/ • LMS მოდულის გამოყენების ინსტრუქცია და შესაბამისი ფოტო მტკიცებულება); • უნივერსიტეტის პრაქტიკის განხორციელებისა და შეფასების წესი.
რეკომენდაციები: -
რჩევები: -
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაცემულია 4 რეკომენდაცია:

1. **რეკომენდაცია: რეკომენდებულია განაახლოთ აკადემიურ პერსონალთან შრომითი და აფილირების ხელშეკრულებები ახლად დამტკიცებული აფილირების წესის შესაბამისად;**

ექსპერტთა პანელმა განიხილა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია აკადემიურ პერსონალთან აფილირების ხელშეკრულებების განახლების პროცესთან დაკავშირებით. დოკუმენტაციიდან და უნივერსიტეტის განმარტებიდან ჩანს, რომ რეკომენდაციის შემდგომ პერიოდში უნივერსიტეტმა შესთავაზა აკადემიურ პერსონალს აფილირების ახალი ხელშეკრულებები ახლად დამტკიცებული აფილირების წესის შესაბამისად, მათ შორის ალტერნატიული აფილირების ორი განსხვავებული მოდელი.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ აკადემიური პერსონალის მხრიდან არ დაფიქსირდა მზაობა ახალი აფილირების წესის ფარგლებში თანამშრომლობის გაგრძელების მიმართ. უნივერსიტეტის განმარტებით, აღნიშნული გარემოება შეფასდა როგორც პოტენციური რისკი ინსტიტუციური სტაბილურობისა და აკადემიური პროცესების უწყვეტობისთვის, რის გათვალისწინებითაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოქმედი დარჩენილიყო აფილირების აქამდე არსებული წესი.

ექსპერტთა პანელის შეფასებით, უნივერსიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ასახავს რისკების პრევენციულ მართვას და ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის პოზიციას, იმავდროულად კი უზრუნველყოფს აკადემიური თავისუფლებისა და უნივერსიტეტის მიერ აკადემიური საქმიანობის წახალისების დებულების თანაარსებობას. წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტური მტკიცებულებების საფუძველზე, ექსპერტთა პანელი მიიჩნევს, რომ რეკომენდაციის მიზანი – აფილირების პროცესის რეგულირების უზრუნველყოფა და ინსტიტუციური რისკების შემცირება – მიღწეულია. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.

2. **რეკომენდაცია: რეკომენდებულია უზრუნველყოთ აკადემიური პერსონალის ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა დონეზე, მმართველ ორგანოებში მათი არჩევის გზით.**

წარმოდგენილი შიდა დოკუმენტაციისა და მმართველობითი პრაქტიკის შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ აკადემიური პერსონალის მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში განსაზღვრულია როგორც უნივერსიტეტის საქმიანობის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი. აღნიშნული მიდგომა ასახულია უნივერსიტეტის დებულებაში და შესაბამის შიდა ნორმატიულ აქტებში. რეკომენდაციის გათვალისწინებით, უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია აკადემიური საბჭო, რომელიც ფუნქციონირებს როგორც უმაღლესი წარმომადგენლობითი კოლეგიური ორგანო აკადემიური საკითხების განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით. დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ აკადემიური საბჭოს წევრები აირჩევიან სკოლის საბჭოების მიერ შერჩეული აფილირებული აკადემიური პერსონალისგან, რაც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის უშუალო და პირდაპირ მონაწილეობას უნივერსიტეტის მმართველობით პროცესებში. აკადემიური პერსონალის ჩართულობა უზრუნველყოფილია ასევე სკოლის საბჭოების დონეზე, სადაც საბჭოს წევრთა შორის წარმოდგენილია სკოლის აკადემიური პერსონალი. ამასთან, დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლის არააფილირებულ აკადემიურ პერსონალს აქვს საბჭოს სხდომებზე დასწრებისა და საკუთარი მოსაზრების დაფიქსირების შესაძლებლობა. აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ აკადემიური პერსონალი აღიქვამს საკუთარ მონაწილეობას მმართველობით პროცესებში როგორც რეალურ და ფუნქციონალურ მექანიზმს და არა მხოლოდ ფორმალურ წარმომადგენლობას. ახალი მენეჯმენტის პირობებში აშკარაა აკადემიური პერსონალის მოტივაცია და პოზიტიური დამოკიდებულება. პერსონალმა აღნიშნა, რომ აკადემიური საბჭოსა და სკოლის საბჭოების საქმიანობაში ჩართულობა მათ აძლევს შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის სტრატეგიული და აკადემიური გადაწყვეტილებების ფორმირებაში. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ექსპერტთა პანელი ასკვნის, რომ უნივერსიტეტში შექმნილია მრავალდონიანი, წარმომადგენლობითი და მონაწილეობითი მექანიზმები აკადემიური პერსონალის ჩართულობის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.

3. **რეკომენდებულია უზრუნველყოთ, კლინიკური მეცადინეობების ჩასატარებლად განსაზღვრული იყოს მხოლოდ ის პერსონალი, რომლებსაც გააჩნიათ მინიმუმ 3 წლიანი კლინიკური გამოცდილება რეგისტრაციის შემდგომ.**

უნივერსიტეტმა განმარტა, რომ წინა ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში დაფიქსირებული რეკომენდაცია ეფუძნებოდა მცდარ ინფორმაციას კონკრეტული აკადემიური პერსონალის კლინიკურ სწავლებაში ჩართულობის შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია უკავშირდებოდა პირის საქმიანობას სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და არ ეხებოდა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში განხორციელებულ კლინიკურ სწავლებას, რის გამოც აღნიშნულ პერიოდში გამოვლენილი ხარვეზი არ ასახავდა უნივერსიტეტის რეალურ პრაქტიკას.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მიხედვით, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე კლინიკური მეცადინეობების განხორციელება ხორციელდება მხოლოდ იმ აკადემიური პერსონალის მიერ, რომელსაც გააჩნია მინიმუმ 3-წლიანი კლინიკური გამოცდილება რეგისტრაციის შემდგომ.

აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში შესწავლილი იქნა კლინიკური საგნების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები და მათი შესაბამისობა იმ სასწავლო კურსებთან, რომელთა განხორციელებაზეც ისინი არიან პასუხისმგებელი. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ ყველა შესაბამისი პირი აკმაყოფილებს მინიმუმ 3-წლიანი კლინიკური გამოცდილების მოთხოვნას და ადამიანური რესურსების კუთხით ხარვეზები არ გამოვლენილა.

აღნიშნული ინფორმაცია ასევე დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე რეკომენდაციების განხილვის დროს. მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია კლინიკური საგნების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის სია და მათი პირადი საქმეები, რომლებიც ადასტურებს კლინიკური გამოცდილების შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან. აღნიშნული პროგრამა აკრედიტებულია 14/02/2024 (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება № MES 2 24 0000160338), ხოლო აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა განხორციელდა 25/07/2025.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტური მტკიცებულებების საფუძველზე, კლინიკური მეცადინეობების განხორციელება უნივერსიტეტში ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის მიერ. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.

4. **რეკომენდაცია: რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, გაზარდოთ აფილირებული პერსონალის რაოდენობა როგორც უნივერსიტეტის დონეზე, ასევე "დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის.**

ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში, როდესაც რეკომენდაცია გაიცა, უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა შეადგენდა 150-ს, მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა იყო 99. აღნიშნული მაჩვენებლები შეფასდა როგორც გასაძლიერებელი საგანმანათლებლო პროგრამების გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის კონტექსტში.

წარმოდგენილი ინფორმაციისა და დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაციის მიხედვით, 2024–2025 აკადემიური წლის განმავლობაში უნივერსიტეტში განხორციელდა აკადემიური კონკურსები, რომელთა შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა, ისე აფილირებული აკადემიური პერსონალის რიცხვი. მიმდინარე ეტაპზე აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა შეადგენს 178-ს, საიდანაც აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა არის 109, მათ შორის 31 აფილირებული პროფესორი, 67 აფილირებული ასოცირებული პროფესორი და 11 აფილირებული ასისტენტ პროფესორი, რაც მიუთითებს რაოდენობრივ ზრდასა და აკადემიური იერარქიის დაბალანსებულ სტრუქტურაზე.

ამასთან, აღსანიშნავია გარემოება, რომ მიმდინარე პერიოდში გამოცხადებულია საჯაროდ აკადემიური კონკურსი. უნივერსიტეტის პრიორიტეტია მეტი აფილირებული აკადემიური პერსონალის მოძიება.

აღნიშნული ნაბიჯები ადასტურებს უნივერსიტეტის მიზანმიმართულ პოლიტიკას აფილირებული პერსონალის რაოდენობის ზრდისა და საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობის განმტკიცების მიმართულებით.

განახლებული მონაცემებით ეს მაჩვენებლები გაიზარდა შესაბამისად 178-მდე (**18.7%**) და 109-მდე (**10.1%**). აღნიშნული დინამიკა ადასტურებს აფილირებული პერსონალის რაოდენობის ზრდას და საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობის უზრუნველყოფას, შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუს შედეგები
- თვითშეფასების დოკუმენტი
- ბრძანებები შესაბამის დებულებებში ცვლილებების შესახებ;
- უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამაზე კლინიკური საგნების განმახორციელებელი პერსონალის სია და პირადი საქმეები;
- უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებული აკადემიური კონკურსები და შედეგების შესახებ ინფორმაცია.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

რეკომენდაცია: რეკომენდებულია პერსონალის ნიშნულების გაუმჯობესების მიზნით, პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიებში გაითვალისწინოთ საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიების გაუმჯობესების მიზნით შეისწავლა საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის თანაფარდობის განსაზღვრის კუთხით. OECD-ის მონაცემების მიხედვით, აღნიშნული მაჩვენებელი სხვადასხვა ქვეყნებში მნიშვნელოვნად განსხვავდება და მერყეობს დაახლოებით 5-დან 50 სტუდენტამდე ერთ სრულ განაკვეთზე დასაქმებულ აკადემიურ

პერსონალზე (FTE), ხოლო საშუალო საერთაშორისო მაჩვენებელი შეადგენს დაახლოებით 15 სტუდენტს ერთ განმახორციელებელ პერსონალზე. საერთაშორისო გამოცდილებისა და ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით, უნივერსიტეტმა გადაახედა პერსონალის ნიშნულებს და განსაზღვრა შუალედური სამიზნე მაჩვენებელი — მაქსიმუმ 20 სტუდენტი ერთ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალზე (20:1), რაც შეესაბამება ისეთ ქვეყნებში დამკვიდრებულ პრაქტიკას, როგორებიცაა რუმინეთი და იტალია. აღნიშნული მაჩვენებელი დათვლილია სრული განაკვეთის ექვივალენტის (FTE) მეთოდოლოგიის გამოყენებით. წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, უნივერსიტეტი ამჟამად აკმაყოფილებს დადგენილ სამიზნე ნიშნულს და პერსონალის დაგეგმვა ხორციელდება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. ზემოაღნიშნული გარემოებების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული პერსონალის ნიშნულები სრულად ითვალისწინებს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას და რეკომენდაცია შესრულებულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • უნივერსიტეტის მდგრადობისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამიზნე ნიშნულების დოკუმენტი. • https://www.oecd.org/en/data/indicators/students-per-teaching-staff.html.
რეკომენდაციები: –
რჩევები: –
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

რეკომენდაცია: რეკომენდებულია შეიცვალოს სტუდენტთა ომბუდსმენის არჩევის არსებული წესი და ნაცვლად რექტორის მიერ დანიშვნისა, ომბუდსმენი დემოკრატიულად იყოს არჩეული სტუდენტების მიერ.

უნივერსიტეტმა რეკომენდაციის გათვალისწინებით შეცვალა სტუდენტთა ომბუდსმენის არჩევის არსებული წესი და შესაბამისი ცვლილებები შეიტანა რიგ დოკუმნეტებში.

სტუდენტთა ომბუდსმენის არჩევის წესთან დაკავშირებული ცვლილებები

1. ცვლილება შეტანილია *უნივერსიტეტის დებულებაში* - **ბრძანება №07/01-18 (01.12.2025)**
   ცვლილების არსი:
   უნივერსიტეტის დებულებაში განისაზღვრა სტუდენტთა ომბუდსმენის არჩევის ახალი მოდელი, რომლის მიხედვითაც ომბუდსმენი აღარ ინიშნება რექტორის მიერ და მისი არჩევის უფლებამოსილება გადაეცა სტუდენტურ თვითმმართველობას. დებულებაში დაკონკრეტდა ომბუდსმენის ლეგიტიმაციის წყარო და არჩევის დემოკრატიული პრინციპი.

2. ცვლილება შეტანილია *სტუდენტთა ომბუდსმენის დებულებაში* **ბრძანება №07/01-17 (01.12.2025)**
   ცვლილების არსი:
   ომბუდსმენის დებულებაში შეიცვალა ომბუდსმენის არჩევის წესი და განისაზღვრა, რომ მისი არჩევა ხორციელდება სტუდენტური თვითმმართველობის მიერ, დემოკრატიული არჩევნების გზით. დოკუმენტში განახლდა ომბუდსმენის არჩევის პროცედურა და უფლებამოსილების ლეგიტიმაციის საფუძვლები.

3. ცვლილება შეტანილია *უნივერსიტეტის დებულებაში (ომბუდსმენის ნაწილში)* **ბრძანება №07/01-19 (01.12.2025)**
   ცვლილების არსი:
   უნივერსიტეტის დებულებაში დამატებით დაკონკრეტდა სტუდენტთა ომბუდსმენის ინსტიტუციური სტატუსი, არჩევის სუბიექტი და მისი დამოუკიდებლობა ადმინისტრაციული მმართველობისგან, რითაც გაძლიერდა ომბუდსმენის ინსტიტუტის დემოკრატიული და წარმომადგენლობითი ხასიათი.

4. ცვლილება შეტანილია *სკოლის დებულებაში* **ბრძანება №07/01-16 (01.12.2025)**
   ცვლილების არსი:
   სკოლის დებულებაში აისახა ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფს სკოლის დონეზე სტუდენტური წარმომადგენლობისა და თვითმმართველობის ჩართულობას, მათ შორის სტუდენტთა ომბუდსმენთან დაკავშირებული კომუნიკაციისა და თანამშრომლობის ინსტიტუციურ ჩარჩოს.

უნივერსიტეტტის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ განხორციელებული ცვლილებები უზრუნველყოფს სტუდენტთა ომბუდსმენის ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას, მის ლეგიტიმაციას სტუდენტთა ნების საფუძველზე და აძლიერებს სტუდენტთა მონაწილეობას საუნივერსიტეტო მმართველობით პროცესებში. სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა ომბუდსმენი თავდაპირველად ირჩეოდა დემოკრატიული წესით სტუდენტების მიერ, თუმცა მოგვიანებით, წინა მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, აღნიშნული პრაქტიკა შეიცვალა და ომბუდსმენი ინიშნებოდა რექტორის მიერ. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ დემოკრატიული არჩევის წესის აღდგენა მათთვის მისასალმებელია; ისინი აქტიურად არიან ჩართული სტუდენტურ ცხოვრებაში, აგრძელებენ სტუდენტურ აქტივობებს და ემზადებიან სტუდენტთა ომბუდსმენის არჩევის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც დაგეგმილია მიმდინარე წლის მარტში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ინტერვიუს შედეგების მიხედვით, ომბუდსმენის არჩევის უფლებამოსილება მიენიჭა სტუდენტურ თვითმმართველობას, რომელიც საკუთარი დებულების საფუძველზე უზრუნველყოფს ომბუდსმენის დემოკრატიული წესით არჩევას.

შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია: რეკომენდებულია გააძლიეროთ სტუდენტთა წარმომადგენლობის ჩართულობა უნივერსიტეტის გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან ჩანს, რომ უნივერსიტეტის დებულებაში შეტანილი ცვლილებებით გაძლიერდა სტუდენტთა წარმომადგენლობის მონაწილეობა მმართველობით პროცესებში. კერძოდ, აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში განსაზღვრულია სტუდენტთა მონაწილეობა ორი სტუდენტის არჩევის გზით, რომლებიც აირჩევიან უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ და სრულუფლებიანი წევრების სტატუსით მონაწილეობენ აკადემიური საბჭოს საქმიანობაში.

დოკუმენტაციიდან ასევე იკვეთება, რომ სტუდენტთა წარმომადგენლები მონაწილეობენ სკოლის საბჭოს სხდომებში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართულობას როგორც უნივერსიტეტის ცენტრალურ მმართველ ორგანოში, ისე ფაკულტეტურ დონეზე. აღნიშნული მექანიზმები ქმნის პირობებს სტუდენტთა მოსაზრებების სისტემატური გათვალისწინებისა და მათი უშუალო მონაწილეობისათვის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ზემოაღნიშნული ცვლილებებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ექსპერტთა პანელი ასკვნის, რომ სტუდენტთა წარმომადგენლობის ჩართულობა უნივერსიტეტის გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში გაძლიერებულია და რეკომენდაცია შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუს შედეგები
- თვითშეფასების დოკუმნეტი
- სკოლის დებულებაში ცვლილება ბრძანება 0701-16
- ომბუდსმენის დებულებაში ცვლილების ბრძანება 07/01-17
- უნივერსიტეტის დებულებაში შეცვლილების ბრძანება 0701-18 და 0701-19

რეკომენდაციები:

–

რჩევები:

–

შეფასება:

–

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ავტორიზაციის საბჭოს მიერ რეკომენდაცია არ გაცემულა
მტკიცებულებები/ინდიკატორები: -
რეკომენდაციები: -
რჩევები: -
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: -
მტკიცებულებები/ინდიკატორები: -
რეკომენდაციები: -
რჩევები: -
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

-

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

რეკომენდაციები:

-

რჩევები: -
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: **ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაიცა 4 რეკომენდაცია:** **რეკომენდაცია 1: რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის და სწავლის შედეგების მიღწევის უწყვეტად უზრუნველყოფის მიზნით, გააძლიეროთ სიმულაციური ცენტრი და ლაბორატორიები დამატებითი აღჭურვილობით.** უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, მედიცინის სკოლის ფუნქციონირების დაწყებისთანავე, შესაბამისი საგნების ლექტორების ჩართულობით შემუშავდა კლინიკური უნარების ლაბორატორიის, ასევე ბიოქიმია/მიკრობიოლოგიის, ჰისტოლოგია/პათოლოგიისა და ფიზიოლოგიის ლაბორატორიების დამატებითი აღჭურვის გეგმა. აღნიშნული გეგმის ფარგლებში განხორციელდა 159 959 ლარის ღირებულების აპარატურის, მოწყობილობების, სიმულატორების, მანეკენებისა და სასწავლო მასალების შესყიდვა, რაც დადასტურებულია წარმოდგენილი შესყიდვის ხელშეკრულებითა და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტებით. შესაბამისი ლაბორატორიები განთავსებულია უნივერსიტეტის B კორპუსის აუდიტორიებში. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში ადგილზე შეისწავლა ფაქტობრივი მდგომარეობა და დაათვალიერა მედიცინის სკოლის სიმულაციური ცენტრი და ლაბორატორიები. ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ სიმულაციურ ცენტრში განლაგებულია ყველა ის ძირითადი სიმულატორი, რომელიც გათვალისწინებულია დარგობრივი მახასიათებლით და აუცილებელია კლინიკური უნარების ფორმირებისთვის. ლაბორატორიებში წარმოდგენილია თანამედროვე ტექნოლოგიური აღჭურვილობა და შესაბამისი სასწავლო მარაგები, რაც უზრუნველყოფს სწავლების პრაქტიკულ კომპონენტს.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მიმდინარე ეტაპზე უნივერსიტეტს არ ჰყავს სტუდენტები ყველა სემესტრსა და ყველა სასწავლო კურსზე, რის გამოც დამატებითი აღჭურვილობისა და მარაგების შემდგომი შესყიდვა დაგეგმილია ეტაპობრივად და შესაბამისი ფინანსური რესურსი ასახულია უნივერსიტეტის ბიუჯეტში. ამასთან, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი სრულად აცნობიერებს მომდევნო განვითარების ეტაპებს და აქტიურად ემზადება მედიცინის პროგრამის კლასტერული აკრედიტაციისთვის.

გათვალისწინებით როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ისე ვიზიტის დროს ნანახი ფაქტობრივი მდგომარეობისა, ექსპერტთა პანელი ასკვნის, რომ სიმულაციური ცენტრი და ლაბორატორიები გაძლიერებულია და ამ ეტაპზე სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის ხარისხიან განხორციელებასა და სწავლის შედეგების მიღწევას. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.

2. რეკომენდაცია: რეკომენდებულია 2,000 სამედიცინო სტუდენტის სასწავლო პროცესის სამართავად მკაფიო, სტრუქტურირებული სტრატეგიის შემუშავება.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის მართვის სტრატეგია (2024–2030) ეფუძნება სტუდენტთა კონტიგენტის ეტაპობრივ ზრდას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის კონტროლირებად და სტაბილურ განვითარებას. დოკუმენტში განსაზღვრულია მიღების ფაზები, რომლებიც სინქრონიზებულია აკადემიურ, ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურულ შესაძლებლობებთან, რაც ამცირებს ოპერაციულ რისკებს და უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტობას.

სტრატეგია ითვალისწინებს სასწავლო სივრცეების, კლინიკური ბაზებისა და სასწავლო რესურსების თანმიმდევრულ განვითარებას სტუდენტთა რაოდენობის ზრდის პარალელურად. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში მოქმედმა განახლებულმა ელექტრონულმა პლატფორმამ და სასწავლო პროცესის მართვის სისტემამ მნიშვნელოვნად გაამარტივა სასწავლო პროცესის ადმინისტრირება, გაზარდა პროცესების ეფექტიანობა და ხელი შეუწყო გადაწყვეტილებების მიღების უფრო სწრაფ და შედეგზე ორიენტირებულ მართვას სტუდენტთა მზარდი კონტიგენტის პირობებში.

სტრატეგიული დოკუმენტი ინტეგრირებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს, მათ შორის სასწავლო პროცესის მონიტორინგს, სწავლის შედეგების შეფასებასა და აკადემიური პროცესების კოორდინაციას. ელექტრონული მართვის სისტემის გამოყენება დამატებით უზრუნველყოფს მონაცემებზე დაფუძნებულ მართვას, დროულ უკუკავშირს და სასწავლო პროცესის მოქნილ ადაპტაციას, რაც მნიშვნელოვანია ხარისხის შენარჩუნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად სტუდენტთა რაოდენობის ზრდის პირობებში.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ წარმოდგენილი სტრატეგია, ინფრასტრუქტურული განვითარება და ელექტრონული მართვის სისტემის გამოყენება ერთობლიობაში ქმნის ეფექტურ და მდგრად მოდელს სტუდენტის სასწავლო პროცესის სამართავად. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია 3. რეკომენდებულია უზრუნველყოთ სპეციალური სამუშაო და შეხვედრების სივრცეები აკადემიური პერსონალისთვის სასწავლო პროცესისთვის მოსამზადებლად და სტუდენტებთან ინდივიდუალური შეხვედრების და კონსულტაციების ჩასატარებლად.

სამუშაო ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა უნივერსიტეტში არსებული სამუშაო და შეხვედრების სივრცეები და დაადასტურა, რომ აკადემიური პერსონალისთვის გამოყოფილია კეთილმოწყობილი და აღჭურვილი სპეციალური სამუშაო და კონსულტაციების სივრცეები, რომლებიც განთავსებულია A და B კორპუსებში სხვადასხვა სართულზე და უზრუნველყოფილია შესაბამისი ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით. დადასტურდა, რომ აღნიშნული სივრცეების შესახებ ინფორმაცია მიწოდებულია აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს გამოყოფილი აქვთ ინდივიდუალური სამუშაო კაბინეტები სტუდენტებთან კონსულტაციების ჩასატარებლად. ამასთან, წარმოდგენილი სტრატეგიული და

სამოქმედო გეგმების მიხედვით, დამატებითი სამუშაო სივრცეების გამოყოფაც არის დაგეგმილი, რის გათვალისწინებითაც რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია 4: რეკომენდებულია იმ ოთახებს, რომელთაც არ მიეწოდებათ საკმარისი ბუნებრივი შუქი შეეცვალოთ დანიშნულება, რადგან ისინი არ შეესაბამება საგანმანათლებლო სივრცის სტანდარტებს.

სამუშაო ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა უნივერსიტეტის იმ სივრცეების ფაქტობრივი გამოყენება, რომელთაც არ აქვთ საკმარისი ბუნებრივი განათება, და დაადასტურა, რომ აღნიშნულ ოთახებს შეცვლილი აქვთ ფუნქციური დანიშნულება და აღარ გამოიყენება სასწავლო პროცესისათვის. აღნიშნული სივრცეები გამოყენებულია სტუდენტური კინოთეატრის ფუნქციით, რაც გამორიცხავს მათ გამოყენებას საგანმანათლებლო სივრცეებად და უზრუნველყოფს შესაბამისობას დადგენილ სტანდარტებთან, შესაბამისად რეკომენდაცია შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამედიცინო ინვენტარის შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის მართვის სტრატეგიის დოკუმენტი;
- სპეციალური სამუშაო და შეხვედრების სივრცე აკადემიური პერსონალისთვის - ფოტოები;
- ფაქტობრივი მდგომარეობა.
- ინტერვიუს შედეგები
- ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის მიერ გაიცა რეკომენდაცია: რეკომენდებულია შეიმუშაოვთ ბიბლიოთეკის გაფართოების ყოვლისმომცველი და სარწმუნო გეგმა სტუდენტების რაოდენობის მოსალოდნელი ზრდის გათვალისწინებით.

ვიზიტის დროს დათვალიერებისას ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ რეკომენდაციის შესაბამისად უნივერსიტეტში განხორციელებულია ბიბლიოთეკის გაფართოება და მოწყობილია დამატებითი სამკითხველო დარბაზი B კორპუსის მეოთხე სართულზე, შესაბამისი ინვენტარითა და განახლებული კომპიუტერული ტექნიკით. ასევე, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან და სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ბიბლიოთეკის არსებული ინფრასტრუქტურა და

დაგეგმილი შემდგომი გაფართოება ადეკვატურად პასუხობს სტუდენტთა რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებულ საჭიროებებს, შესაბამისად რეკომენდაცია შესრულებულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ფაქტობრივი მდგომატეობა • ინვენტარის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: -
რჩევები: -
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
7.3 საინფორმაციო რესურსი
○ უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა. ○ ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები. ○ უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: -
მტკიცებულებები/ინდიკატორები: -
რეკომენდაციები: -
რჩევები: -
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

-

რეკომენდაციები:

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამა	საფეხური	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული, აკრედიტებული, პირობით აკრედიტებული, საერთაშორისო აკრედიტაცია)	შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლის ნომერი და თარიღი
1.	ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი (ინგლისურენოვანი)	ბაკალავრიატი	ინგლისური	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი აღრიცხვასა და დაბეგვრაში	0411 აღრიცხვა და დაბეგვრა	180	აკრედიტებული	MES 6 25 0000091987; 17.01.2025
2.	ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი	ბაკალავრიატი	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი აღრიცხვასა და დაბეგვრაში	0411 აღრიცხვა და დაბეგვრა	180	აკრედიტებული	MES 2 25 0000091983; 17.01.2025
3.	ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები (ინგლისურენოვანი)	ბაკალავრიატი	ინგლისური	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში	0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა	180	აკრედიტებული	MES 0 25 0000092061; 17.01.2025
4.	ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები	ბაკალავრიატი	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში	0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა	180	აკრედიტებული	MES 1 25 0000092053; 17.01.2025
5.	ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი)	ბაკალავრიატი	ინგლისური	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	240	აკრედიტებული	13.07.2020 №596753
6.	ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი	ბაკალავრიატი	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	240	აკრედიტებული	12.07.2020 №1166780

7.	ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი)	ბაკალავრიატი	ინგლისური	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	180	აკრედიტებული	MES 6 25 0000092021; 17.01.2025
8.	ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი	ბაკალავრიატი	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირ ების ბაკალავრი მენეჯმენტში	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	180	აკრედიტებული	MES 5 25 0000091995; 17.01.2025
9.	ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი (ინგლისურენოვანი)	ბაკალავრიატი	ინგლისური	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში	0414 მარკეტინგი და რეკლამა	180	აკრედიტებული	MES 8 25 0000092041; 17.01.2025
10.	ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი	ბაკალავრიატი	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში	0414 მარკეტინგი და რეკლამა	180	აკრედიტებული	MES 7 25 0000092031; 17.01.2025
11.	ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ინგლისურენოვანი)	ბაკალავრიატი	ინგლისური	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში	1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება	240	აკრედიტებული	01.07.2023 №820842
12.	ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი	ბაკალავრიატი	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში	1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება	240	აკრედიტებული	01.07.2023 №820242
13.	ეკონომიკა (ინგლისურენოვანი)	ბაკალავრიატი	ინგლისური	ეკონომიკის ბაკალავრი	0311 ეკონომიკა	240	აკრედიტებული	22.12.2021 №15288

14.	ეკონომიკა	ბაკალავრიატი	ქართული	ეკონომიკის ბაკალავრი	0311 ეკონომიკა	240	აკრედიტებული	22.12.2021 №15239
15.	ფინანსები (ინგლისურენოვანი)	მაგისტრატურა	ინგლისური	ფინანსების მაგისტრი	0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა	120	აკრედიტებული	MES 1 25 0000012349 20.12.2024
16.	ფინანსები	მაგისტრატურა	ქართული	ფინანსების მაგისტრი	0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა	120	აკრედიტებული	MES 6 25 0000012344 20.12.2024
17.	მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი)	მაგისტრატურა	ინგლისური	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	120	აკრედიტებული	11.12.2020 №1192975
18.	მარკეტინგი (ინგლისურენოვანი)	მაგისტრატურა	ინგლისური	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მარკეტინგში	0414 მარკეტინგი და რეკლამა	120	აკრედიტებული	13.07.2020 №596754
19.	ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)	დოქტორანტურა	ინგლისური	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	53	აკრედიტებული	04.12.2024 №1626907
20.	არქიტექტურა (ინგლისურენოვანი)	ბაკალავრიატი	ინგლისური	არქიტექტურის ბაკალავრი	0731 არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება	240	აკრედიტებული	25.01.2022 №124366
21.	კომპიუტერული მეცნიერება (ინგლისურენოვანი)	ბაკალავრიატი	ინგლისური	კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი	240	აკრედიტებული	30.01.2021 №50931
22.	კომპიუტერული მეცნიერება	ბაკალავრიატი	ქართული	კომპიუტერულ მეცნიერებების ბაკალავრი	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი	240	აკრედიტებული	19.03.2021 №318909

23.	კომპიუტერული მეცნიერება (ინგლისურენოვანი)	მაგისტრატურა	ინგლისური	კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი	120	აკრედიტებული	30.01.2021 №50935
24.	კომპიუტერული მეცნიერება (ინგლისურენოვანი)	დოქტორანტურა	ინგლისური	კომპიუტერული მეცნიერების დოქტორი	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი	60	აკრედიტებული	31.01.2021 №50943
25.	გრაფიკული დიზაინი (ინგლისურენოვანი)	ბაკალავრიატი	ინგლისური	გრაფიკული დიზაინის ბაკალავრი	0211 აუდიო-ვიზუალური ტექნიკა და მედია წარმოება	180	აკრედიტებული	11.12.2024 №1656269
26.	არქიტექტურა	ბაკალავრიატი	ქართული	არქიტექტურის ბაკალავრი	0731 არქიტიტექტურა და ქალაქდაგეგმარება	240	აკრედიტებული	31.12.2024 MES7240001674107
27.	საერთაშორისო ურთიერთობები (ინგლისურენოვანი)	ბაკალავრიატი	ინგლისური	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები	240	აკრედიტებული	24.11.2021 №1261874
28.	საერთაშორისო ურთიერთობები	ბაკალავრიატი	ქართული	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები	240	აკრედიტებული	24.11.2021 №1261873
29.	ჟურნალისტიკა	ბაკალავრიატი	ქართული	ჟურნალისტიკის ბაკალავრი	0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა	240	აკრედიტებული	29.01.2019 №34
30.	ამერიკისმცოდნეობა (ინგლისურენოვანი)	ბაკალავრიატი	ინგლისური	ამერიკისმცოდნეობის ბაკალავრი	0388 - ინტერდისციპლინური - მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას	240	აკრედიტებული	09.12.2011 №438
31.	ინგლისური ფილოლოგია (ინგლისურენოვანი)	ბაკალავრიატი	ინგლისური	ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი	0231 ენის დაუფლება	240	აკრედიტებული	07.02.2023 №138508

32.	ფსიქოლოგია (ინგლისურენოვანი)	ბაკალავრიატი	ინგლისური	ფსიქოლოგიის ბაკალავრი	0313 ფსიქოლოგია	240	აკრედიტებული	16.08.2024 №1054482
33.	ფსიქოლოგია	ბაკალავრიატი	ქართული	ფსიქოლოგიის ბაკალავრი	0313 ფსიქოლოგია	240	აკრედიტებული	16.08.2024 №1054398
34.	საზოგადოებასთან ურთიერთობა (PR)	ბაკალავრიატი	ქართული	საზოგადოებასთან ურთიერთობის ბაკალვრი	0414 მარკეტინგი და რეკლამა	180	აკრედიტებული	04.12.2024 №1626329
35.	საერთაშორისო ურთიერთობები (ინგლისურენოვანი)	მაგისტრატურა	ინგლისური	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები	120	აკრედიტებული	24.11.2021 №1261875
36.	ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობები (ინგლისურენოვანი)	მაგისტრატურა	ინგლისური	ამერიკისმცოდნეობის მაგისტრი	0388 - ინტერდისციპლინური - მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას	120	აკრედიტებული	01.02.2012 №14
37.	განათლების ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)	მაგისტრატურა	ინგლისური	განათლების ადმინისტრირების მაგისტრი	0188 ინტერდისციპლინური – მოიცავს განათლებას	120	აკრედიტებული	14.08.2025 MES 9 25 0001109402
38.	განათლების ადმინისტრირება (ქართულენოვანი)	მაგისტრატურა	ქართული	განათლების ადმინისტრირების მაგისტრი	0188 ინტერდისციპლინური – მოიცავს განათლებას	120	აკრედიტებული	14.08.2025 MES 1 25 0001109378
39.	ციფრული მედია და კომუნიკაცია	მაგისტრატურა	ქართული	მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი	0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა	120	აკრედიტებული	17.08.2021 MES 3 21 0000838493
40.	ამერიკისმცოდნეობა (ინგლისურენოვანი)	დოქტორანტურა	ინგლისური	ამერიკისმცოდნეობის დოქტორი	0388 - ინტერდისციპლინური - მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს,	53	აკრედიტებული	01.02.2012 №17

					ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას			
41.	განათლების მეცნიერება (ინგლისურენოვანი)	დოქტორანტურა	ინგლისური	განათლების მეცნიერების დოქტორი	0111 განათლების მეცნიერება	55	აკრედიტებული	14.08.2025 MES 4 25 0001109407
42.	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი)	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	ინგლისური	-	-	60	აკრედიტებული	14.08.2025 MES 3 25 0001109370
43.	სამართალმცოდნეობა	ბაკალავრიატი	ქართული	სამართლის ბაკალავრი	0421 სამართალი	240	აკრედიტებული	13.09.2022 №1172271
44.	საჯარო ადმინისტრირება და სახელმწიფო მმართველობა	ბაკალავრიატი	ქართული	საჯარო მმართველობის ბაკალავრი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	180	აკრედიტებული	28.01.2025 MES 5 25 0000136021
45.	სამართალი	მაგისტრატურა	ქართული	სამართლის მაგისტრი	0421 სამართალი	120	აკრედიტებული	06.08.2020 №670727
46.	დიპლომირებული მედიკოსი (ინგლისურენოვანი)	ერთსაფეხურიანი	ინგლისური	დიპლომირებული მედიკოსი	0912 მედიცინა	360	აკრედიტებული	14.02.2024 MES 2 24 0000160338

დანართი 1.ბ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები/სა მეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	უმაღლესი განათლების საფეხური	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია /კვალიფიკაციები და განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F– 2013	ECTS	პროგრამის სტატუსი (არააკრედიტებული /აკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ საერთაშორისო აკრედიტაცია)	შესაბამისი გადაწყვეტილებ ის თარიღი და ნომერი
1.	მენეჯმენტი და ინფორმაციული ტექნოლოგიები/ Management and Information Technology (ინგლისურენოვანი) (ერთობლივი)[1]	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი და ცვიკაუს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი (WHZ) (გერმანია)	მაგისტრატურა	ინგლისური	შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (IBSU) - მეცნიერების მაგისტრი ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტში (M.Sc.) / Master of Science in IT Management (0619.2.2 ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი, IT Management);	120	აკრედიტებული	24.03.2023 MES 1 23 0000870187
2.	კომპიუტერული სოციალური მეცნიერებები განვითარებისათვის	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მაგისტრატურა	ქართული	სოციალური მეცნიერებების მაგისტრი/ 0319 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები-არაკლასიფიცირებული	120	აკრედიტებული	23.12.2025 №19643